

ქართული ტრადიციული

ჯარას თაფლი





A person wearing a blue jacket is shown from a first-person perspective, using a metal funnel to collect honey from a beehive. The beehive is situated inside a wooden structure, possibly a traditional beehive house. The scene is set outdoors, with sunlight filtering through green and yellow leaves in the background, creating a warm and natural atmosphere. The text is overlaid on a semi-transparent dark rectangle in the upper center of the image.

საქართველოს  
ხელთუჭმნელი საგანძური

# შინაარსი



5

რარის ჯარა

10

სად იპოვით ჯარას

6

რატომაა ჯარას თაფლი  
განსაკუთრებული

16

აღმოაჩინე ჯარა

8

ჯარას მაცხოვრებელი

18

ფილმი ჯარა

9

როგორია ჯარა შიგნიდან?

19

ჯარას ისტორიები









## რა არის ჭარა?

**ჭარა ფუტკრის ქართული ტრადიციული სკაა, რომელიც საქართველოში უძველესი დროიდან გამოიყენება**

ზუსტი მტკიცებულება, თუ როდის გაჩნდა ჭარა საქართველოში, არ არსებობს. თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციის თანახმად, უძველესმა მკვიდრებმა ფუტკრები ხის ფულუროებში აღმოაჩინეს და იმ ადგილს ტყეში „ხე-ფუტკარა“ უწოდეს. მოგვიანებით, მათ გაათვინებინებინეს, რომ შესაძლო იყო ხეების ანალოგიურად „თაფლის ხეებად“ გარდაქმნა. ისინი აგროვებდნენ გარეული ფუტკრის ნაყარს და სპეციალურად ორ ნაწილად გაჭრილი ხის მორის შუაგულში ათავსებდნენ.

შემდეგ დამზადებულ ხის მორებს ხეებზე დათევბისთვის მიუწვდომელ ადგილას ალაგებდნენ. სწორედ ამ ხის მორებს უწოდებდნენ ჭარას. მოგვიანებით, მე-19 საუკუნეში ჩარჩოიანი კორპუსის ფუტკრის სკების გამოგონების შემდეგ, ჭარას სკები მნიშვნელოვნად შეიცვალა ფუტკრის თანამედროვე და მარტივად მოსახმარი სკებით. მაგრამ დასავლეთ საქართველოს რამდენიმე ადგილას ჭარას სკებს ჯერჯერობით ისევ მოიხმარენ გარეული თაფლის ჭარას წარმოებისთვის.

# რატომაა ჯარას თაფლი განსაკუთრებული?

ჯარას თაფლი საქართველოში ადმოჩენილი ძალიან იშვიათი და მაღალი ხარისხის ორგანული ველური პროდუქტია. ის 100% სუფთა და ველური თაფლია.

დღესდღეობით ველური ფუტკრებისგან თაფლის წარმოების ტექნოლოგიები იშვიათია, თუმცა, საქართველო ერთ-ერთი იშვიათი ადგილია მსოფლიოში, სადაც ჯარას თაფლს ჯერ კიდევ აწარმოებენ, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ და ალპურ ზონებში მდებარე სოფლებში. ამ ადგილებში, ათეულობით მეფუტკრე განაგრძობს უძველეს ტრადიციას – რაც ადამიანებისა და ველური ბუნების თანაარსებობის იდეალური მაგალითია.

ჯარას სკა, რომლის იდეა ხეში არსებული ფულუროდან გაჩნდა, ნამდვილი და უნიკალური არომატის მატარებელი ველური თაფლის შექმნის საშუალებას იძლევა – ჯარა გახლავთ ველური ფუტკრების ბუნებრივი სახლი, რომელსაც არც ხელოვნური ცვილი და არც მეფუტკრეების განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდება.

ფუტკარი ჯარას სკაში ფიჭას მთლიანად თვითონ ამენებს. ეს არის ველური ყვავილებისგან მიღებული ყველაზე მაღალი ხარისხის თაფლი, რომელიც თქვენს სუფრაზე ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს.







## ჭარას მაცხოვრებელი

### ჭარას ბინადარი კავკასიური მთის რუხი ფუტკარი (*Apis Melifara Caucasica*)

საქართველო სახელგანთქმული კავკასიური მთის რუხი ფუტკრის სამშობლოა. საქართველოს კომბინირებულმა კლიმატმა ხელი შეუწყო ამ ჯიშის ევოლუციას. სხვა ფუტკრებთან მას ხორთუმის სიგრძე განასხვავებს, რომელიც ნახევარი მილიმეტრით გრძელი, საშუალოდ, 7.2 მილიმეტრია. ეს საშუალებას აძლევს ფუტკარს ადვილად მისწვდეს ყვავილის ბუტკოს ძირს და ნექტარი იქიდან ამოიღოს, საიდანაც სხვა ჯიშის ფუტკრები ვერ ახერხებენ.

ამის გარდა, კავკასიური მთის რუხი ფუტკარი გამორჩეულია სხვა თვისებებითაც: არის შრომისმოყვარე, მშვიდი, შეუძლია ცუდ ამინდში ფრენა, გაცილებით ადვილად უმკლავდება ზამთრის პირობებს. მისი მორჩილი ხასიათი, გამძლეობა განსაკუთრებულ უნარს სძენს ფუტკარს ნექტარი გაცილებით მეტი სახეობის ყვავილიდან მოიპოვოს და თანაც დიდი რაოდენობით.


# როგორია ჯარა შიგნიდან?

ჯარას სკის მოდელი ფუტკრების ბუნებრივი საცხოვრებლის, ხის ფულუროს მსგავსია.

ჯარა არის ორ ნაწილად გაყოფილი ხის მორისგან დამზადებული სკა. ჯარა ჩვეულებრივ ცაცხვის ხისგან მზადდება (*Tilia begoniifolia* Steven). ეს ხე იქნა არჩეული, რადგან ის წონით მსუბუქია და არ აქვს სპეციფიური სუნი, რაც ფუტკრებს შეაწუხებდა.

ჯარას დამზადება მეფუტკრესთვის მოგზაურობას ნიშნავს. ზოგიერთი მათგანი ხის მოჭრისთვის სპეციალურ დღეს ირჩევს - მაგალითად, თებერვლის პირველი ოთხშაბათი, რადგანაც ფიქრობენ, რომ ამ დღეს გაკეთებული ჯარა გაცილებით მყარი და ძლიერი იქნება. ჯარას თავლის მწარმოებლები ჩვეულებრივ 4-6 კილომეტრს დადიან ტყეში, სადაც ხის მასალას ფრთხილად და ყურადღებით არჩევენ.

ჯარას სკას თავისი წესები აქვს ე.წ გამყოფი ჯარას ორ ნაწილად ჰყოფს სადაც ოჯახის მოსაგლის ნახევარი ფუტკრებს ეკუთვნით ხოლო მეორე ნაწილი მეფუტკრეს



ზედა თავსახურს უჭირავს ფიჭა და სკას გარე ზიანისგან იცავს

ფიჭა




ფუტკრის ბუდე ის ადგილია სადაც კვერცხები და ბარტყები ვითარდებიან სკის ეს ნაწილი ყვავილის მტვერს ნექტარს ან ბარტყის საკვებ თავლს ინახავს

ჯარას ქვედა ნაწილი ისე უნდა იყოს გამოთლილი რომ ზუსტად შეესაბამებოდეს ზედა ნაწილს

ჯარას სკა სხვადასხვა ზომისა და სიგრძისაა, დაახლოებით 70 სმ-დან 120 სმ-მდე მერყეობს. ფუტკრის სკის სიგრძე თავლის წარმოების რაოდენობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ერთი ჯარას სკა ერთ სემონზე საშუალოდ 19 კგ. თავლს აწარმოებს.



# სად იპოვით ჭარას?





## ჭარას იპოვით ტყეში

ჭარას ტრადიციულად, ტყეში, მაღალ ხეზე ათავსდებდნენ, სოფლიდან 4-5 კმ მანძილზე; მისი დათვებისგან და სხვა გარეული ცხოველისგან დასაცავად. ეს ყველაზე გავრცელებული მეთოდი იყო, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრება ადრე მეტად იყო დაკავშირებული ტყესთან.



## ჯარას იპოვით კლდეებზე

ჯარას სკებისთვის ყველაზე უსაფრთხო ადგილი, თუმცა ყველაზე რთული მოსაგლის ასაღებად. სკები პირდაპირ კლდეზე, ხის ფიცრებზე, ე.წ. ბოგებზე თავსდება, ზღვის დონიდან დაახლოებით 1200 მ-ზე, რაც ძალიან შთამბეჭდავი და ამავე დროს საშიში სანახავია.



## ჯარას იპოვით ბალებში

მას შემდეგ, რაც სოფლის მეურნეობა განვითარდა და ტყესთან კავშირი შესუსტდა, ადგილობრივებმა ჯარას სკების მოთავსება საკუთარ სახლებთან ახლომდებარე ბალებში დაიწყეს, რამაც მათ ნაყარის სწრაფი შეგროვების, საფუტკურის გაფართოვებისა და პროდუქტიულობის გაზრდის შესაძლებლობა მისცა.



## ჯარას იპოვით საფარში


მაღალმთიან რაიონებში მცხოვრები მეფუტკრეები ჯარას სკებს სპეციალურად დამზადებულ ხის საფარში ათავსებენ ზამთრის მკაცრი პირობებისგან დასაცავად; აღნიშნული საფარი ბალის საუკეთესო ადგილას თავსდება, რათა ფუტკარმა მარტივად გაიკვლიოს გზა.



## ჭარას იპოვით სახლებზე

ზოგიერთ თემში ჭარას სკები განთავსებულია პიდაპირ სახლებზე. ეს თემები თავიდანვე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მეფუტკრეობასთან. ფუტკრები მათი კერისა და სახლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ.


# აღმოაჩინე ჭარა



დღესდღეობით ჭარას სკვები საქართველოში ძირითადად აჭარის რეგიონში გვხვდება.

აჭარის რეგიონი დასავლეთ საქართველოს ნაწილია, რომელსაც ხშირად „ბუნების მუზეუმს“ უწოდებენ, რადგან ის გადაურჩა გამყინვარებას და შეინარჩუნა ფლორისა და ფაუნის უნიკალური სახეობები, რომელთაგან ბევრი არსად მსოფლიოში არ გვხვდება.

აჭარა ისტორიული რეგიონია, რომელიც სახელგანთქმულია სილამაზით, სუბტროპიკული ლანდშაფტებით, 121 კმ სიგრძის სანაპირო ზოლით, ტყით დაფარული მწვანე ვორებიტა და მთებით.



მთებში, რომლებიც სიმაღლეში 3000 მ-ზე მეტს აღწევენ, უამრავი მინერალური წყარო, მდინარის ღრმა ხეობა, თვალწარმტაცი ჩანჩქერი და ულამაზესი იზოლირებული სოფელი გვხვდება. რეგიონი

სახელგანთქმულია მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით. თუმცა, რეგიონის უმთავრეს განძს გამორჩეული ტრადიციების მატარებელი მოსახლეობა წარმოადგენს, რომელთა შორის გამოირჩევიან ჯარას თაფლის მწარმოებლები.

აჭარას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოში არსებულ უნიკალურ ეკოსისტემებს შორის აჭარა. ეს იმის მანიშნებელია, რომ აღნიშნული ადგილები ბიოლოგიურად განსაკუთრებულად მდიდარია, თუმცა, ამავე დროს, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი.



## ფილმი ჯარას შესახებ



ფილმი ჯარას შესახებ აღწერს ერთ წლიან ზღაპრულ მოგზაურობას აჭარის მთიანეთში, სვონურად ცვალებად ყოველდღიური ცხოვრების წესის განსხვავებულობას განაშენიანებულ და ველურ ბუნებაში. ფილმი მოგვითხრობს ტყეში მცხოვრებ ფუტკარებზე, ბუნების ველურ სილამაზეზე, ადამიანებისა და მტაცებლების თანაარსებობასა და მათ შორის არსებულ დაუნდობელ და გარდაუვალ კონფლიქტების შესახებ. ფილმი ფოკუსირებულია ჯარასა და მასში მცხოვრებ ფუტკარზე.



# გაიყვანეთ ჭარას მემუტპრები



# ჯემალ ბერიძე


## მახალაკიძეები, შუახევი

შუახევის შორეულ სოფელში, აკაციით, წაბლით და ველური ბუნებით გარშემორტყმულ მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები ჯემალ ბერიძის ოჯახი, ჯარას თაფლის წარმოების ოჯახურ ასწლიან ტრადიციას აგრძელებს. ჯარას თაფლის წარმოების გამოცდილება მან ახალგაზრდა ასაკში მიიღო, მაშინ, როდესაც პირველად, ხუთი წლისამ, პირველი ჯარას სვა დამოუკიდებლად დაამზადა. მოგვიანებით მამას ეხმარებოდა, ხეებზე ადიოდა ფუტკრის ახალი ნაცარის ჩასაყრელად.

„ოცი წლის ქალიშვილი მყავს, რომელიც ყოველთვის მეხმარებოდა ჯარების მოვლაში. მას ახლა ოჯახი თავისი ჰყავს და უნდა რომ საკუთარი საფუტკრე ჰქონდეს. ძალიან შეამაყება, რომ ოჯახის ტრადიციის გამგრძელებელია“.

ბატონი ჯემალი ჯარას თაფლის სტაბილური ამრის ძიებაშია, ვინაიდან ჯარა მართლაც სუფთა და ნატურალური თაფლია, გამორჩეული არომატით. მას ბევრი თურქი მომხმარებელი ჰყავს რომლებმაც კარგად იციან ამ თაფლის ფასი და შესაბამის თანხასაც იხდიან, მაშინ როდესაც, ჯარას თაფლის ფასი ადგილობრივ აგრარულ ბაზარზე საგრძნობლად დაბალია. მიუხედავად ამისა, ბატონი ჯემალი მოტივირებულია, რომ უფრო მეტი აწარმოოს და ჯარას თაფლის წარმოება გააგრძელოს.

“ძალიან მიყვარს ფუტკრების. ვზივარ ჩემთვის, სიმშვიდეში და უბრალოდ ვუსმენ. ამ ხმას ძალიან მივეჩვიე და საოცრად მაშვიდებს. შემიძლია, მთელი დღე ფუტკრებთან და სკვებთან გავატარო. მათი ბზუილი ჩემი ცხოვრების ნაწილია”.





აბაშიძეების ოჯახმა ჯარას თაფლის წარმოების ისტორია ასეული წლის წინ შექმნეს სოფელ ქიძინიძეებში, როცა ჯარას სკები კლდეზე განათავსეს. თუმცა ოსმან აბაშიძის თქმით, ინტერესი ამ ტრადიციული თაფლისადმი არ იყო, სანამ ორი წლის წინ ნიკა წიკლაური (ქართული დოკუმენტური ფილმი „ჯარას“ რეჟისორი) სოფელში გამოჩნდებოდა. შემდეგ, უკვე პირველ საზოგადოებრივ მაუწყებელზე რეპორტაჟიც გავიდა.

“უამრავი სატელეფონო ზარი მივიღე, ჩემმა ნათესავებმაც კი დამირეკეს, ვინც ბათუმში ცხოვრობს. წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომ ჯარას სკები გვექონდა”.

კლდეზე მოთავსებული ჯარას სკები საოცარი და სულისშემძვრელი სანახაობაა, ვინაიდან ჩნდება კითხვა: როგორ? ნუთუ შესაძლებელია? თუმცა, ოსმან აბაშიძის მამა არც დაფიქრებულა როცა 20 წლის ასაკში თოკი შემოიბა და კლდეზე ჯარების ადგილის გამოსაკვეთად დაეშვა.



“მამაჩემმა კლდეზე ადგილი საკუთარი ხელებით გამოკვეთა და სკები დააღაგა. ეს სკები დღემდე იქაა. იქ ასვლა და თაფლის ამოღება სახიფათოა. თუმცა, არ მეშინია. შიში თუ გაქვს ვერ გააკეთებ. აუცილებელია გჯეროდეს საკუთარი თავის და იმის, რასაც აკეთებ” – ამბობს ოსმან აბაშიძე.

ჯარას თაფლის ბაზარი შეზღუდულია, მხოლოდ ნათესავები და მეზობლები. მეზობლებმა იციან, რომ ოსმან აბაშიძეს თაფლი სამკურნალოა და შესაბამისად აფასებენ.

## ოსმან აბაშიძე

ქიძინიძეები, შუახევი

# გურამ თურმანიძე

## მერისი, ქედა


გურამ თურმანიძის ოჯახი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც სოფელში ჯარას ტრადიციული თაფლის წარმოება დაიწყო.

გურამს ბაბუისგან სმენია, თუ როგორ დაიწყო მეფუტკრეობა სოფელში. ლეგენდის თანახმად, დაახლოებით ასი წლის წინ, ერთმა კაცმა ადგილობრივებს ტყეში წასვლა სთხოვა და უთხრა, რომ ბუზის მსგავს მწერს იპოვიდნენ, რომელიც სოფელში უნდა წამოეყვანათ. აღმოჩნდა, რომ ეს მწერი ფუტკარი იყო, რომელიც შემდგომ უძველეს სკაში, ე.წ. ჯარაში მოათავსეს. ასე აგრძელებს ბატონი გურამი ტრადიციულ მეფუტკრეობას მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე.

"ეს ამბავი ყოველთვის მისტიური მეგონა. ალბათ, სწორედ ეს განაპირობებს ჩემს ვაჟშირს ჯარასთან, იმიტომ რომ რამდენჯერმე ვცადე ჩვეულებრივი, თანამედროვე სკები, თუმცა ვერაფრით შევეგუე. ვფიქრობ, ჯარას მეფუტკრეობისთვის დავიბადე"

– ღიმილით ამბობს გურამი.

გურამის ოჯახს სკები ოცდაორი მეტრის სიმაღლის წიფლის ხეებზე ჰქონდა განთავსებული. ეს იყო დაახლოებით ხუთი კილომეტრის სავალი მანძილი ტყეში. ცოტა ეშინოდა, თუმცა წამებში ადიოდა ხოლმე ამ ხეებზე, დღეს კი გურამი ამაყია ამ გამოცდილებით და სურს, რომ სხვა მეფუტკრეები მეტად დაინტერესდნენ ჯარას ტრადიციული მეფუტკრეობით, ვინაიდან ეს მართლაც განსაკუთრებულია.






სოფელი ნამონასტრევი ჯარას ტრადიციული მეფუტკრეობის ორ საუკუნოვან ისტორიას ითვლის. უძველესმა მკვიდრებმა ფუტკრები ხის ფულურში იბოვნეს და ეს იდეა სოფელში გადმოიტანეს; ახლა ამ ადგილს ტყეში „ხეფუტკარას“ უწოდებენ. სოფელი არაჩვეულებრივი ადგილია ჯარას თაფლის წარმოებისთვის, ყოველგვარი გამონაბოლქვისა და პესტიციდების გარეშე. ხეობა დაფარულია ტყით და ხუთასი მეტრის რადიუსში თაფლოვანი მცენარეები ყვავილობს.

ნოდარ თურმანიძის ოჯახი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც სოფელში ჯარას თაფლის წარმოება დაიწყო. მათ დაახლოებით ფუტკრის ასი სკა ჰქონდათ, რაც სახლის გარშემო ეზოს თითქმის მთლიანად ფარავდა. თუმცა, თაფლის გაყიდვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, მათი რაოდენობა ოცდაათამდე შემცირდა. ახლა ჯარას თაფლს ძირითადად ოჯახი მოიხმარს. თუმცა, ბატონი ნოდარი კვლავ განაგრძობს ოჯახურ ტრადიციამე ზრუნვას.

“ჯარას სკაში გამყოფია ხაზია, რომელიც ფუტკრების წილ თაფლს ჩვენგან აცალკევებს. მეფუტკრის თვალი ხარბია, თუ წინალობა არა აქვს ბოლომდე მიყვება“ – სიცილით ამბობს ნოდარ თურმანიძე.



ბატონი ნოდარი ჯარას თაფლის მოსაგავლს წელიწადში მხოლოდ ერთხელ, შემოდგომის პირველი სუსხის დადგომისთანავე იღებს. სემონის დანარჩენ დროს ჯარა დახურულია.

“ფული გინდა ჩურულაში, თუ სკა გინდა თებერვალში“ – ამბობს ნოდარი.

## ნოდარ თურმანიძე

ნამონასტრევი, ქედა

# გენადი დოლიძე

## ნამონასტრევი, ქედა

გენადი დოლიძე აგრძელებს ბაბუისა და მამის მიერ დაწყებულ ტრადიციულ მეფუტკრეობას. მას ოცდაორი სკა აქვს და დაახლოებით ორასი კილოგრამი თაფლის მოსავალი აიღო გასულ წელს. აქვს თანამედროვე სკებიც, თუმცა მიაჩნია, რომ ჯარა განსაკუთრებული და უფრო ნატურალურია.

“დაახლოებით ცამეტი წლის ვიყავი, როდესაც ჯარას სკა ჩემით დაგამზადე და შიგ ფუტკრის ნაყარი მოვათავსე. ძალიან ამაყი და აღტაცებული ვიყავი. ზუსტად იგივე განცდა მაქვს ახლაც, როდესაც სკებთან ახლოს ვტრიალებ. ვფიქრობ, ფუტკრებთან სწორედ ეს მაკავშირებს“ – მოკრძალებულად აცხადებს გენადი დოლიძე.

გენადი დოლიძემ ჯარას სკები სახლთან ახლოს კლდის ქვეშ მოათავსა, რამაც შარშან, მისი სახლი დამიანებისგან იხსნა, როდესაც ჯარას სკებმა ჩამოვარდნილი კლდის ლოდი შეაჩერეს.

“შოკირებული ვიყავი ამ სანახაობით. პირდაპირი მნიშვნელობით შეიძლება ვთქვა, რომ ჯარამ გადაარჩინა ჩემი და ჩემი ოჯახის სიცოცხლე“ – აღნიშნავს გენადი დოლიძე.





ვალეკო ბარამიძის ოჯახი საუკუნეზე მეტია ინარჩუნებს და აგრძელებს ჯარას თაფლის წარმოების ტრადიციას. ახლა იმ დროს იხსენებს, როდესაც მამას ეხმარებოდა და ტყიდან თაფლის მოსავალი ცხენებით მოჰქონდათ. იყო დრო, როცა ისინი დაახლოებით 35-40 კილოგრამ თაფლის მოსავალს იღებდნენ თითოეული სკიდან.

რამდენიმე წლის წინ უცნობმა დაავადებამ ჯარას სკებში ფუტკრის ოჯახები გაანადგურა. შედეგად, უკვე ოცი წელია, რაც ვალეკო ბარამიძემ თავი დაანება მეფუტკრეობას. თუმცა, წელს რაღაც განსაკუთრებული მოხდა.

“ერთ დღესაც შევამჩნიე რომ ფუტკრები ხეზე მოთავსებული ჯარას სკის გარშემო ბზუოდნენ. გაოგნებული და გაკვირვებული ვიყავი. ყოველთვის განვიცდიდი და სინანულის გრძნობა მქონდა. მინდოდა, ისევ მქონოდა ჯარას სკები. და რასვხედავ? ჩემდა გასაოცრად, ისინი თავისთავად დაბრუნდნენ ჩემს ცხოვრებაში” – ამბობს ვალეკო სიხარულით.



ახლა ის გეგმავს, დაიბრუნოს ჯარას თაფლის ტრადიცია და მეტი თაფლი აწარმოოს.

## ვალეკო ბარამიძე

მერისი, ქედა

# რამაზ დუმბაძე

ოქტომბერი, ქედა

რამაზ დუმბაძე თვითნასწავლი მეფუტკრეა. ჯარას სკების მოვლაში ბავშობიდანვე ჩაერთო, როდესაც ბაბუას ჯარას სკების დამზადებაში ეხმარებოდა. დღეს მას ისევ აქვს ექვსი ჯარას სკა სოფელში და ერთი კი ტყეში, ხეზე. და აგრძელებს ჯარას მეფუტკრეობის ტრადიციას ამ თაფლისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გამო.

რამაზი გეგმავს ჯარას სკების სოფლის ტერიტორიიდან სამი-ოთხი კილომეტრის მოშორებით განლაგებას, რათა ფუტკრებს, სუფთა და ველური თაფლის წარმოებისთვის, კომფორტული გარემო შეუქმნას.

ამ მიზნით რამაზი ააშენებს ხის კონსტრუქციას, რომელზეც დაახლოებით ათი სკა განთავსდება. ეს პროცესი ორი წლის დაიწყო, როდესაც ერთი ჯარას სკა ტყეში განათავსა. მაშინ ფუტკრებმაც არ დააყოვნეს და სკაში დასახლდნენ.

“ვფიქრობ, არის რაღაც განსაკუთრებული, როცა ჯარა ხეზეა განთავსებული. ეს რაღაც ცალკე სამეფოს მაგონებს, რომელშიც მხოლოდ ფუტკრები სახლობენ” – აღნიშნავს რამაზი.





მაყვალა სურმანიძე, უკვე 29 წელია რაც დამოუკიდებლად ეწევა ჯარას თაფლის წარმოებას, მას შემდეგ რაც მისი მეუღლე გარდაიცვალა. ის ერთ-ერთი მეფუტკრე ქალბატონთაგანია აჭარაში.

მაყვალა მეფუტკრეობას ბავშვობიდანვე შეეჩვია; მამამის ას ოცი ჯარა ჰქონდა და ბავშვობისას ხშირად ეხმარებოდა მამას, თუმცა დამოუკიდებლად არასდროს მოუვლია ჯარასთვის. ამიტომ, თავიდან შიში ჰქონდა, თუმცა ფუტკრები მალევე დაიმეგობრა.

“როდესაც ფუტკრებს ვუყურებ, თუ როგორ საქმიანობენ, ვგრძნობ, რომ ფესვებით რაღაცნაირად დაკავშირებული ვარ მათთან. მეფუტკრეობა ჩვენთვის ტრადიციული საოჯახო საქმიანობა იყო ყოველთვის და არ მინდა, რომ ეს ტრადიცია დაიკარგოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის ჩემთვის ადვილი. ეს ისეთი სფეროა, სადაც მამაკაცები დომინირებენ და ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი“ – ამბობს მაყვალა.

მ.სურმანიძის მოსავალი დაახლოებით ასი-ასოცი კილოგრამი თაფლია წელიწადში, რასაც შემდგომ ყიდის მეზობლებზე და თურქ მუამავლებზე, რომლებიც ჯარას თაფლს ანიჭებენ უპირატესობას მისი უნიკალური თვისებების გამო. ხულოში ჯარას



მას თავისი სახელიც კი აქვს „კოლა“.ახლა ის გეგმავს, დაიბრუნოს ჯარას თაფლის ტრადიცია და მეტი თაფლი აწარმოოს.

მაყვალა მხოლოდ მეფუტკრე არ არის, ის ადგილობრივი სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგია. ამიტომ თავის მოსწავლეებთან ხშირად საუბრობს მეფუტკრეობაზე.

## მაყვალა სურმანიძე

ფუშრუკაული, ხულო

# მინდია სურმანიძე

## ფუშრუკაული, ხულო

მინდია სურმანიძე, ოთხი შვილის მამაა, უფროსკლასებს მათემატიკას ასწავლის. მისი მეფუტკრეობის სიყვარული ბავშვობიდან დაიწყო, როდესაც ბაბუს ეხმარებოდა სკების მოვლაში. ამიტომ მისი ყველაზე ძვირფასი მოგონებები დაკავშირებულია ჯარასთან, თაფლის ამოღებისთვის ხეზე ძრომივალთან. იმ დროიდან მოყოლებული, გაზაფხული მინდიას საყვარელი წელიწადის დროა, ამ დროს საფუტკრესთან საოცრად მიმზიდველი და სასიამოვნო სურნელი ტრიალებს. სკებს თავად ამზადებს და თანამედროვე სახეს სძენს, მათი ფორმა კვადრატულია


და არა ოვალური. ამაში მას მათემატიკა ეხმარება და ყოველთვის სიამოვნებს ექსპერიმენტები.

“ფუტკრების ყურება სახალისო და მომხიბვლელია. იცოდით, რომ ქური ფუტკრებიც არსებობენ? თაფლს სხვა სკებიდან იზარავენ და საკუთარ სკაში გადმოაქვთ. როდესაც მსგავს რაღაცეებს ვუყურებ და ვისმენ, ჩემთვის ეს საქმიანობა კიდევ უფრო საინტერესო და სახალისო ხდება. მინდა უფრო მეტი ვნახო და ვისწავლო“ – ამბობს მინდია.





ბეჟან ბერიძემ ჯარას ტრადიციული თაფლის წარმოება ოცდახუთი წლის წინ დაიწყო. ამ საქმიანობით მაშინ დაინტერესდა, როდესაც მეზობლის ჯარას სკები ნახა. მოგვიანებით, თავად მოუნდა ოჯახისათვის დამატებითი შემოსავლის წყარო შეექმნა. ბეჟანი თვითნასწავლი მეფუტკრეა და დაახლოებით ოცდაათ ჯარას უვლის. ამჟამად, ყველა მისი ოჯახის წევრი, მათ შორის შვილიშვილები, ჩართულნი არიან ჯარას თაფლის წარმოებაში. ზოგიერთი მათგანი სკებს უვლის, ზოგიც კი ბაბუას თაფლის გაყიდვაში ეხმარება. მისი თქმით, იყო დრო, როდესაც ერთი ფუტკრის ერთი ოჯახი თექვსმეტ წელიწადზე მეტს ცხოვრობდა და უფრო მეტი სოფლის მცხოვრები ეწეოდა მეფუტკრეობას. თუმცა ახლა სულ სხვანაირადაა.



“სოფელში ერთადერთი ვარ, ვისაც ჯერ კიდევ აქვს ჯარას სკები. გულკეთილი კაცი ვარ და მაგიტომაც დარჩნენ ჩემთან ფუტკრები. სხვას ყველას გაუნადგურდა, ფუტკარს ძუნწი ადამიანი არ უყვარს“ – ღიმილით ამბობს ბეჟანი.

## ბეჟან ბერიძე

ბარდნალი, ხულო

# ნინო დიასამიძე

## კარაპეტი, შუახევი

ნინო დიასამიძემ ჯარას თაფლის წარმოება დამოუკიდებლად ერთი წლის წინ დაიწყო, მისი მეუღლის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ. ნინო მეტად გამოუცდელია და ფუტკრების შიშიც აქვს, ამიტომ მას თაფლის მოსავლის აღებასა და ჯარას სკების მოვლაში მეზობელი ეხმარება. უმეტესად, მომხმარებლები ჯარას თაფლს სამკურნალო მიზნით ყიდულობენ.

“ოთხი შვილის დედა ვარ, ჩემი უმცროსი შვილი 2 წლისაა; ჩემი ოჯახისთვის თაფლიდან მიღებული შემოსავალი. მინდა მეფუტკრეობაზე უფრო მეტი ვისწავლო და თაფლის მეტი მოსავალი ავიღო მომდევნო წლებში“ – ამბობს ნინო.





დანიელის ოჯახი საუკუნეზე მეტია ჯარას თაფლს აწარმოებს. ისინი სოფელში თაფლის უმსხვილესი მწარმოებლები იყვნენ, ას ოცი ჯარას სკით. თუმცა, ათი წლის წინ, დაავადების გამო ფუტკრის ოჯახები განადგურდნენ და ამჟამად, დანიელს მხოლოდ ექვსი სკა აქვს. როგორც წესი, სკებს კლდეებზე ათავსებდნენ. როგორც წესი, მთელი დღე სჭირდებოდა კლდეში მცირე ადგილის გამოჭრას და ჯარას სკის განთავსებას.

დანიელმა, ფიზიკისა და მათემატიკის პედაგოგმა, მეფუტკრის სტატუსი დაბადებიდან მიიღო. ამიტომ, მეფუტკრეობა მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. ჯარას სკების დამზადება მამისგან ისწავლა.

„თებერვლის ერთი დღე იყო, პირველი ოთხშაბათი, ჯარას სკებისთვის ხის მოჭრის დღედ ითვლებოდა, რადგან ვადმოცემის თანახმად სკა ასე გაცილებით მყარი იქნებოდა. 5–6 კილომეტრს გავდიოდი ფეხით ტყეში რომ ხე ამერჩია და იქ ადგილზე შემუშავა. წელიწადში დაახლოებით 40 ჯარას სკას ვამზადებდი. საუცხოო დრო იყო“ – ამბობს დანიელი.

დანიელმა საფუტკრისთვის ეზოს საუკეთესო ადგილი შეარჩია, უზარმაზარი ნაკვეთის შუაგულში, რომელიც პირდაპირ მზის ამოსვლას უყურებს. არ იყენებს ვეტერინარულ პრეპარატებს. მისი თაფლი 100%-ით ნატურალურია. დანიელი მოსავალს, როგორც წესი ფუტკრის სკის წონის მიხედვით აფასებს.



„თაფლის დიდი მოსავალი გვექონდა ხოლმე. აჭარის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ყოველთვის ჩვენგან ყიდულობდა თაფლს, ყველამ იცოდა ჩვენი თაფლის შესახებ და პრესტიჟულად ითვლებოდა“ – სიამაყით აღნიშნავს დანიელი.

## დანიელ თავდგირიძე

კვიახიძეები, შუახევი

# ზვიად ფუტკარაძე

## კვიახიძეები, შუახევი

ზვიად ფუტკარაძე და მისი ოჯახი დაახლოებით ას ორმოცდაათი წელია, უვლიან ჯარას სკებს. ზვიადი ფიქრობს, რომ ჯარას თაფლს განსაკუთრებული გემო აქვს. ვინც ამ თაფლის ფასი იცის, მას სამედიცინო და სამკურნალო მიზნებისთვის ყიდულობს.

"ჩემი დილა ერთი კოვში თაფლით იწყება. თაფლი ჯანსაღი პროდუქტია და მთელი დღის მანძილზე ენერჯიას მმატებს" – აღნიშნავს ზვიადი.

ზვიადი რეინჯერია, თავისუფალ დროს ძირითადად ტყეში ატარებს და ზოგჯერ ამ დროს ცაცხვის ხისგან ჯარას სკების დამზადებას უთმობს.

"მიყვარს მამას ყურება, წენარად რომ ზის ჯარას სკებთან და ფუტკრების ბზუილს უსმენს, ესე არის ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ვარ ამ საქმით დღემდე დაკავებული" – აცხადებს ზვიადი.





გენადი გოგიტიძეს ჯარას ერთი სკა ჰყავს. მეტი ჰქონდა, თუმცა რამდენიმე წლის წინ დათვებმა გაუნადგურეს. იმასაც კი ფიქრობდა, ეს საქმე აღარ გაეგრძელებინა, თუმცა ოჯახურ ტრადიციაზე უარი ვერ თქვა.

„ჩემთვის ჯარას თაფლი ყველაზე გემრიელია, ამიტომაც ვინახავ“.

გენადი ფიქრობს, რომ ჯარას სკაში ფუტკრები უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, თავისთვის, ადამიანებისგან შორს არიან და თაფლსაც დამოუკიდებლად ამზადებენ.

“მათემატიკის მასწავლებელი ვარ, ამიტომ საინტერესო იყო როცა აღმოვაჩინე, თუ რამდენად ზუსტები არიან ფუტკრები. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ როდესაც ფუტკრების ოჯახი ძლიერია, ის ჯარაში ფიჭას ვერტიკალურად აშენებს, ხოლო თუ შედარებით სუსტი – ფიჭას ჰორიზონტალური ფორმა აქვს, ამით კი ფუტკარი ტემპერატურულ რეჟიმს ინარჩუნებს“

- აღნიშნავს გენადი.



## გენადი გოგიტიძე


დღვანი, შუახევი

# ირაკლი ბეჟანიძე

მერისი, ქედა

ირაკლი ბეჟანიძე ჯარას თაფლის წარმოებაში ბავშვობიდან ჩართულია. ბაბუას ეხმარებოდა და ყველაფერი ჯარას შესახებ სწორედ მისგან ისწავლა. ჯარას სკები ტყეშიც ჰქონდათ, თუმცა ახლა იქ ფუტკრები აღარ არიან.

ირაკლი აღნიშნავს, რომ ჯარას თაფლის წარმოება უფრო რთულია, რადგან მთელი წლის განმავლობაში ჯარა დახურულია, აქედან გამომდინარე, მეტ დაკვირვებასა და ყურადღებას მოითხოვს მეფუტკრის მხრიდან, რომ სკის შიდა პირობები სწორად შეფასდეს მიუხედავად ამისა, ირაკლი დღემდე მისდევს აღნიშნულ საქმიანობას, რადგან თვლის, რომ ჯარას თაფლი ყველაზე ნატურალური და ველურია და მეტი ადამიანის მოწონებას იმსახურებს.





კაკო თურმანიძე ჯარას თაფლის წარმოების ოჯახურ ტრადიციას აგრძელებს; ოჯახს ასობით ჯარას სკა ტყეში ჰქონდა განთავსებული. ძალიან დიდი მოთხოვნა იყო თურქი შუამავლების მხრიდან. მათ თაფლი თურქეთის ლაბორატორიაშიც შეამოწმეს; თაფლი სუფთა აღმოჩნდა, 75% წაბლის შემადგენლობით.



კაკოს ბაბუის გარდაცვალების შემდეგ ფუტკრების უმეტესობამ ჯარას სკები დატოვა.

„ეს იყო ძალიან უცნაური დამთხვევა. ბაბუა მუდმივად ფუტკრებთან ტრიალებდა და შესაძლებელია, რომ ფუტკრებმაც იგრძნეს რაღაც“ – აღნიშნავს კაკო.

მას ამჟამად, ათი ჯარას სკა აქვს და ყველაფერს აკეთებს მათი შენარჩუნებისა და გამრავლებისთვის:

„ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია და მინდა ბაბუისგან მემკვიდრეობით მიღებული ტრადიცია გავაგრძელო“.

## კაკო თურმანიძე

სილიბაური, ქედა


# დავით კაკაბაძე

მერისი, ქედა

დავით კაკაბაძეს მხოლოდ ერთი ჯარას სკა აქვს. ადრე უფრო მეტი ჰქონდა, თუმცა ფუტკრებმა სკები დატოვეს.

„ტყეში შევამჩნიე, რომ ერთ სკაში ცოცხალი ფუტკრები იყვნენ, თუმცა სკა ჩამოვარდნის პირას იყო. ამიტომ ტყიდან სახლში წამოვიღე. სიმაღლის შიში მაქვს, ჯარას სკის ხეზე მოვლა არ შემიძლია, ამიტომ იგი ჩემს ბაღში დავდე“ – ამბობს დავითი.

ფუტკრები ხელმეორედ კიდევ ორ სკაში დასახლდნენ და დავითი აპირებს ისინიც შეინარჩუნოს.





ომარ დოლიძე ახალგაზრდა მეფუტკრეა, რომელიც ჯარას თაფლის წარმოებას თხუთმეტი წლის წინ შეუდგა, მას შემდეგ, რაც სკები მეზობლის ეზოში ნახა. ძალიან მოუნდა ხეზე სკების ყოლა და სრულიად დამოუკიდებლად ტყეში ათი სკა განათავსა. თუმცა, სამწუხაროდ, კლიმატური ცვლილებების გამო, ამ სკებში ფუტკრები დღეს აღარ არიან. ამჟამად, მას მხოლოდ ორი სკა აქვს და უნდა მეტი ჰქონდეს. მისთვის აქტიურ სეზონზე თაფლის სურნელი გამაცოცხლებელია.



“თაფლი არასოდეს გამიყვია, ძირითადად სახლში მოვიხმართ. თუმცა, ჯარას თაფლი იმდენად სუფთა და ნატურალურია, რომ ვფიქრობ მისი დაგემოვნების შესაძლებლობა რაც შეიძლება მეტ ადამიანს უნდა ჰქონდეს“ – აცხადებს ომარი.

## ომარი დოლიძე

მერისი, ქედა

# ოთარ თურმანიძე

ნამონასტრევი, ქედა

ოთარ თურმანიძის ოჯახი უკვე ერთი საუკუნეა, რაც ჯარას თაფლის წარმოებას მისდევს. ადრეული ასაკიდან ჩაერთო სკების მოვლაში, რადგან მეფუტკრეობას ოჯახის ყოველდღიური საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილს წარმოადგენდა.

ადრე სკები სახლთან არ ჰქონდათ, ჯარას სკები სახლიდან ხუთი-ექვსი კილომეტრის მოშორებით ტყეში მაღალ ხეზე იყო განთავსებული. წლების განმავლობაში, ასეთ მანძილზე სკების მოვლა რთული აღმოჩნდა, სწორედ ამიტომ ისინი სახლთან ახლოს გადმოიტანეს.

„არასოდეს მიცდია თანამედროვე სკების გამოყენება, წარმოდგენაც არ მაქვს, როგორ უნდა ვიმუშაო მათთან. ამბობენ, რომ ჯარას სკების მოვლა ბევრად რთულია, თუმცა მე მხოლოდ ასეთი მეფუტკრეობა მესმის“ — ამბობს ოთარი.

იგი აღნიშნავს, რომ ჯარას თაფლი უფრო სქელი და ბევრად გემრიელია, რადგან ფუტკრები ფიჭას თავად აკეთებენ.

“ათწლეულების წინ ბევრი ოჯახი იყო ჯარას თაფლის წარმოებით დაკავებული. იმ დროს ამდენი ტკბილეული არ იყო, თაფლი კი შაქრის ნაცვლად და ასევე, სამკურნალო საშუალებად გამოიყენებოდა“ — აღნიშნავს ოთარი.





ბადრი თურმანიძე ორმოც წელზე მეტია, რაც ჯარას თაფლის წარმოებას ეწევა. ჯარას სკებს თავიასით ამზადებს; სკების უფრო ეკონომიური, კვადრატული ფორმებიც გაუკეთებია.

შეეცადა თანამედროვე სკები ჰქონოდა, თუმცა ავადმყოფობის გამო ვეღარ გააგრძელა საქმიანობა. მიუხედავად ამისა, ჯარას სკები აძლევს საშუალებას ისევ დაკავდეს მეფუტკრეობით, რადგან ეს საქმე მისთვის უფრო ადვილია.

“ჯარას თაფლი ოქროს თაფლია, მას არაფერი შეედრება“ — ამბობს ბადრი.

## ბადრი თურმანიძე


ნამონასტრევი, ქედა

# ხასან თურმანიძე

ნამონასტრევი, ქედა

ხასანმა, ჯარას თაფლის წარმოება, ოცი წლის წინ საკუთარი სურვილით დაიწყო. მისი აზრით, ეს სოფლის მეურნეობის გამორჩეული დარგია, რომელიც სხვა დარგებს ვერ შეედრება.

„ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი მეფუტკრეებით და ვფიქრობდი, რომ ისინი განსხვავებულები იყვნენ, განსაკუთრებით, ჯარას თაფლის მწარმოებლები, რადგან ეს ხალხი უძველეს ტრადიციას ინარჩუნებს და საკუთარი ოჯახების ასწლოვან ისტორიას დღევანდელი სამყაროში განაგრძობს. ეს ძალიან მაგარია“ – აღნიშნავს ხასანი.





გოჩას ოჯახი დაახლოებით ხუთას თანამედროვე სკას უვლის და მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მსხვილი მეფუტკრეა. მიუხედავად ამისა, ოჯახი ჯარას თაფლსაც აწარმოებს და მხოლოდ იმ განსაკუთრებულ კლიენტებზე ყიდის, რომლებსაც ესმით და აფასებენ ჯარას ველური თაფლის უნიკალურ თვისებებს.



“მეფუტკრეობა შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ჩემი ოჯახისთვის. ჩვენ მხოლოდ სამი ჯარას სკადა დაგვრჩა, მაგრამ არ ვაძლევთ ფუტკრებს მათი დატოვების საშუალებას. ჯარა განსაკუთრებულია. მომავალში ვგეგმავ, უფრო გაგზარდო სკების რაოდენობა, რომ უფრო მეტ ადამიანს ჰქონდეს ჯარას თაფლის დაგემოვნების შესაძლებლობა“ – ამბობს გოჩა.

## გოჩა გორბაძე


მეძიბნა, ქედა

# კახაბერ ბოლქვაძე

გობრონეთი, ქედა

კახაბერი ჯარას დამწყები მეფუტკრეა; წელს პირველად ერთი ჯარას სკა დაამზადა. ადრე მამამისი ჯარას თაფლის წარმოებას მისდევდა, თუმცა, იმ დროს კახაბერს მეფუტკრეობა არ აინტერესებდა. ერთ დღესაც, ჯარას თაფლის მწარმოებელ მეფუტკრეს შეხვდა მეზობელი მუნიციპალიტეტიდან და საქმიანობის დაწყების სტიმული მიეცა. ექსპერიმენტის სახით, ჯარას სკა ტყეში ხეზე განათავსა, რომელშიც მალე ფუტკრები ჩასახლდნენ.

„იმ დღეს ძალიან მოვიხიბლე და გადაწყვიტე, მე თვითონ დამელაგებინა სკები სახლთან ახლოს. რაღაც განსაკუთრებული შეგრძნებაა, დიდ სიამოვნებას ვიღებ“ — აღნიშნავს კახაბერი





მერაბ ბერიძის ოჯახი ჯარას თაფლის წარმოებას ასი წელია მისდევს. რაც მერაბმა ჯარას სკების შესახებ იცის, ყველაფერი ბაბუისგან ისწავლა, რომელსაც თითქმის ასი ჯარას სვა ჰქონდა ახლომდებარე ტყეში. ბავშვობაში იგი მამას თაფლის მოსავლის აღებაში ეხმარებოდა ხოლმე.



“როგორც მამა მეუბნებოდა, ფუტკრები მეზობელი მიდამოებიდან, კერძოდ, ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან და მტირალას ეროვნული პარკიდან მოფრინდნენ. ადგილობრივებმა ფუტკრებს წითელი ნიშნები დაადეს, რომ ენახათ სად წავიდოდნენ და გაცოდნენ, როცა დაადგინეს, რომ მათ ფუტკრებმა ექვს კილომეტრზე მეტი გაიარეს ყვავილების ძებნაში. ფუტკრები დაუპატიჟებელ სტუმრებად მოგვევლინენ და სამუდამოდ დაიდეს ბინა“ – აცხადებს მერაბი.

## მერაბ ბერიძე

წონიარისი, ქედა

# რიზალი დოლიძე

ნამონასტრევი, ქედა

რიზალს ჯარას თაფლის წარმოების ინტერესი თვრამეტი წლის ასაკში გაუჩნდა, როცა სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ სახლში დაბრუნდა. როგორც ამბობს: „ახალგაზრდა ამბიციებით სავსე კაცი ვიყავი, მინდოდა განსაკუთრებული გამეკეთებინა“. ძიების დროს ჯარას აღმოაჩინა.

„იმ დროს, ჯარას სკებს ტყეში მაღალ ხეებზე ათავსებდნენ, მოვლა და მოსავლის აღება დიდ ძალისხმევასა მოითხოვდა. იდეა ძალიან მომეწონა. ჩემთვის ერთგვარი გამოწვევა იყო, და გავბედე, რომ ამ საქმიანობისთვის მომევიდა ხელი. და ახლა, სამოცი წლის შემდეგ, ისევ ვუვლი რამდენიმე დარჩენილ ჯარას სკას, რომლებიც გარდასულ საუკეთესო დროს მახსენებს“ – ღიმილით აღნიშნავს რიზალი.





ფოტოგრაფი  
ნინო ურუშაძე

დიზაინი და შინაარსი:  
ჰელენ ბრედბერი  
ერეკლე ჩიკვაიძე  
ნანა გიორგაძე  
ლაშა ხვიჩია

პუბლიკაცია შეიქმნა  
ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციისთვის



შეიცარიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით  
“მერსი ქორფს საქართველოს” მიერ განხორციელებულ  
კავკასიის ალიანსების პროგრამის ფარგლებში.

[WWW.ALCP.GE](http://WWW.ALCP.GE)

ღაგგოპაგგოროოო

[www.jarahoney.com](http://www.jarahoney.com)

